


„საქართველო ჯერ ქართველებისათვის!“



ქართული ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ორშაბათი. ივლისის 21. (ივლისის 8) 1919 წელი. № 57. უახლესი 3 მან.

ყოველ-კვირული საორგანო გაზეთი საღი კლდე

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე. კონტორა ქართულ ქარვასლაში, სახაბლის ქ. № 57. ტელეფონი № 19-66. მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. გაზეთის ფასი წლის დამლევამდე 50 მან.

შინაარსი

მეთაური. ინგლისი და საქართველო. რაე. უძრავ ქონების ჩამორთმევის კანონი. რ. გაბაშვილი. ეროვნულ-დემოკრატიის კონფერენცია. ი. გველესიანი. პასუხად „ერთობას“. მიმომხილველი. ბ. ნ. ლ. რუხაძის პასუხის გამო. „აზერბეიჯანი“ და „კლდე“. ი. დიდიძე. ოსური საფრთხე. დ. ვ. კარბელაშვილი. ქართველთა გულუბრუნობა. კ. კაპანელი. მშენებლების იდეა (ფელეტონი). აფხაზეთის ვითარება. სასამართლოს დამოუკიდებლობის დარღვევა.

ვთხოვთ ჩვენს თანამოაზრეთ, რომელთაც კავშირი აქვთ განაპირა კუთხეებთან, ან და მიემგზავრებიან იქით, და საერთოდ რაიმე დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ დამატებითი არჩევნების დროს, განაცხადონ ეს ჩვენი პარტიის მთავარ კომიტეტში „კლდის“ რედაქციის ბინაზე, ქართულ ქარვასლაში.

თანამოაზრენო! დაეხმარეთ „კლდის“ ფონდის გააღვივებას.

ქალაქ ახალციხეში გამოდის ყოველ კვირეულად ეროვნულ პარტიის ორგანო

„მესხეთ-ჯავახეთი“ რედაქტორ გამომცემელი ლადო მაჭავარიანი.

ახალციხის საქალაქო არჩევნები ქართული ეროვნული პარტიის სია № 5.

- 1. ახალციხის რაიონის ალექსანდრე იოსელიანის ძე. ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე, ენოელის წყლის სადენის კომიტეტის თავმჯდომარე, ქართულ-საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე და მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე.
2. ახალციხის რაიონის დიმიტრი გიორგიშვილი.
3. კრიხელი იოსებ-შემონის ძე, რაიონის მოადგილე.
4. ბათმანაშვილი ალიზ გრიგოლის ძე, პატრი.
5. ახათიანი ივანე გაბრიელის ძე, ექიმი (უპარტიო).
6. ფირალიშვილი ლევან სიმონის ძე, მეურნე.
7. მაჩაბელი ბახშიბეგ სულიმანის ძე, მუსულმანურ დივიზიონის ოფიცერი.
8. ხუციშვილი დავით მიხაილის ძე, ტყის უფროსი (უპარტიო).
9. გვარამაძე კონსტანტინე ივანეს ძე, მასწავლებელი.
10. დურგლიშვილი მიხეილ სერგოს ძე, რაბათის უბნის კომისარი.
11. მუსხელიშვილი მარიამ ნიკოლოზის ასული, ხარჯთამარ. ინსპექტ. მოხელე.
12. ალელიშვილი რაფიელ იაკობის ძე, ფოსტის მოხელე.
13. ბეგიშვილი რაფიელ ავგუსტინის ძე, ფოსტის უფროსი.
14. გვარამაძე ქრისტესია ივანეს ძე, კომერსანტი.
15. გოშალიშვილი სტეფანე პავლეს ძე, მეურნე.
16. ეფენდიევი ახმედ ალი ეფენდი ზადე, მეურნე.
17. ფილიჩვი კონსტანტინე პანაიოტის ძე, მოიჯარადრე.
18. ალელიშვილი როზალია გრიგოლის ასული.
19. მურადოვი ნადირ-ბეგ ასლან ეფენდი ზადე, მასწავლებელი.
20. ახათიანი სამსონ გრიგოლის ძე, პროვიზორი.
21. მეფისაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, კომისარის თანამშემე.
22. მღებრიშვილი გაბრიელ გრიგოლის ძე, უბნის კომისარი.
23. ჩიქოვანი სიმონ ყათრანის ძე, ციხის უფროსი.
24. მდივანი შალვა დავითის ძე, სათადარიგო ოფიცერი.
25. მაისურაძე იოს. პავლ. ძე, აფთიაქის პატრონი.
26. ერეკლეშვილი პეტრე ივანეს ძე ფერშალი.
27. ერემეშვილი ანა ნიკოლოზის ასული ქ. წ. ქ. გ. ნ. ს. თავმჯდომარე.
28. ხითარაშვილი ალექსანდრე პავლეს ძე, მასწავლებელი.
29. გვარამაძე თამარ მიხეილის ასული, ხაქვ. საზ. სარ. გამ. წევრი.
30. ნიევერტიხა ქეთევან დიმიტრის ასული, კომისარიატ მოხელე.
31. წაღაძე მიხეილ პავლეს ძე, კორესპონტი.
32. დურგლიშვილი ალექსანდრე სერგოს ძე უფროსი მიდიც.
33. ტატიშვილი ვლადიმერ დავითის ძე, ფოსტის მოხელე.
34. დურგლიშვილი ვალიკო ფრანცისკეს ძე სტუდენტი.
35. დიდიმამიშვილი სოფია ივანეს ასული, მასწავლებელი.
36. ივთხანიშვილი გიორგი ავგუსტინეს ძე, მასწავლებელი.
37. ივთხანიშვილი გიორგი ავგუსტინეს ძე, მასწავლებელი.
38. ივთხანიშვილი გიორგი ავგუსტინეს ძე, მასწავლებელი.

მესხ-ჯავახელნო, ბორჩალოელნო, სვანნო, მოხევენო, თუშ-ფშავ-ხევსურნო! დაგუსკანელი კრების დამატებითი არჩევნების დროს 10 აგვისტოს

ს მ ა მ ი ე ტ ი თ ქართულ ეროვნულ პარტიის

სია № 8

რომლის პირველი კანდიდატები არიან პარლამენტის უფ. წევრნი: გ. ვაშაბაძე, უ. კარუშიძე, დ. ვახანაძე, რ. გაბაშვილი, მ. მაჩაბელი, დ. ჯავახიშვილი.

სამშაბათს, 22 ივლისს ქართულ კლუბში

„სტუმრულ სერიზობა გაზეთ „კლდის“ სასარგებლოდ“

სპექტაკლი—ვოდველი „სოფლის ფერშალი“ (ბ. ნ. ზარდლიშვილი და სხვ) კონცერტი—გ. სარაჯიშვილი, ქ. ნ. ვაშაბაძე და სხვ. ბავშვთა სერიზობა 5 1/2 ს. ბ. ნ. სუნდუკიანის სელმდგანელობით ჯავახულის კარნავალი აუქციონი ვახუშტის ლექსებით და ექსპორტ ტებით. პაოლო იაშვილის ხელმძღვანელობით.

ინგლისი და საქართველო.

ბ. ბ. დ. ლამაზიძისა და ს. ავალიანის ჩამოსვლას საზღვარ-გარეთიდან, ლონდონიდან და კონსტანტინოპოლიდან დაუკავშირდა ხმები ჩვენი მთავრობის პოლიტიკის შეცვლის შესახებ, ერთის მხრივ, გამორკვეულა ინგლისის უთუო ინტერესი საქართველოს სახელმწიფოს არსებობისა რუსეთისა და ინდოეთ-სპარსეთ შორის კედლის ასაშენებლად; მეორეს მხრივ, გამორკვეულა ისიც, რომ ძალიან სათუთა, ინგლისმა ახლო მონაწილეობა მიიღოს ჩვენ ბედში და დახმარება გაგვიწიოს რუსეთთან და კონფერენციასთან მოლაპარაკებაში, თუ საქართველოში დღევანდელი მთავრობის პოლიტიკა არ შეიცვალა უფრო ზომიერ, ბუჩუხაიულ პოლიტიკით და სოციალ-დემოკრატიული პარტიული დიქტატურის აღადგი არ დაიქარა სხვა პარტიებთან შეთანხმებით შედგენილმა კოალიციურმა მთავრობამ. დღემდის სოციალ-დემოკრატია არ უწყვედა მანქანა და მინქ ანგარიშს ინგლისის სიმპატიებს თუ ანტიპატიებს, რადგან ყველას ეგონა, რომ ინგლისი საქართველოდან წავიდოდა და აქ იტალია მოვიდოდა, რომელთანაც სხვა პოლიტიკაც ჩაივლიდა. მაგრამ უკვე მესამედ არის, რაც ინგლისი ერთი თვით აგრძელებს კავკასიაში ყოფნის ვადას. მინისტრ ჩერჩილს კი უკვე განუცხადებია ინგლისის პარლამენტში, ინგლისელები არ წავლენ, სანამ კავკასიის ბედი საბოლოოდ არ გადაწყდება.

უკავს მონაგის ჩამორთმევის კანონი

11 მკითათვეს 1919 წ., როცა დიდი სიხე იყო, დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი, რომლითაც უქმდება უძრავ ქონებაზედ კერძო საკუთრება ერთის მხრით და იქმნება ისეთი მერყეობა საკუთრებისა, რომ უზრუნველყოფილი გაცარკვისაგან მართა მთავრობა რჩება. რასაკვირველია, ეს „წართმევის უფლება“ სახელმწიფოებრივად, მაგრამ ვინც იცნობს ჩვენი სოციალ-დემოკრატიის „სახელმწიფო შემოქმედებს“, რომელიც აქამდის მართა წართმევაში გამოიხატება, სხვა არაფერში—ადვილად მიხვდება თუ საით იხრება ჩვენი სახელმწიფოებრივი გეზი. თვით კანონის სათაური ასეთია: „კანონი უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევისა, დროებით დაქვრისა და მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლების დაწესებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის“. ითხილეთ ხედავს, თუ როგორი მენაწილეობის იტვირთვით ეპარება ეს „კანონი“ სხვის საკუთრებას; „დროებით დაქვრა“, „სარგებლობაში მონაწილეობა“ (?), და ჩამორთმევა. მენაწილეობა გამბედაობა ვინ მისცათ პირდაპირა სთქვან ბოლშევიკურად, ყველაფერი ჩვენია, ყველაფერი იმისია, ვისაც არაფერი არ შეუძენია, არ უზრუნია და ესაა ერთბაშად მდიდრდება სხვისი ნაოფლარით. ისინი თანდათანობით, ზოგან „დროებით“ წართმევენ ერთს და მისცემენ თავისიანს „კანონიერის გზით“, მეორე თავისიანისათვის შექმნიან „მონაწილეობას სარგებლობაში“ და შემდეგ სულ ჩამორთმევენ და ასე ამხარად თავის მეგობრებს, ნათესავებს და პარტიულ ძმა-ბიჭებს თანდათან გადასცემენ სხვის ნაამაღდარს „სახელმწიფოებრივის“ მოსაზრებით, აი, როგორც, მაგალითად აქამდის ართმევენ რევინუციით სახლებს, ბინებს, ავეჯსაც კი, როცა რომელიმე „ამხანაგს“ დასჯიან. იხილეთ არის, რადგან სხვისა და უფრო მკიდრად იკავშირებენ ამხანაგებს, რომელთაც ამდიდრებენ „როგორღე მონაწილეობის მინაპარით“, ხალხის თქმით რომ ვსთქვით. Дешево и мило! თქვენ გგონიათ ხუმრობაა? და სოციალ-დემოკრატიები იტყვიან:—რასაკვირველია, არ მოეწონებათ „კონტრ-რევოლიუციონერებსა“,—მიტომკომ დღეს ამ სიტყვებით ყველას ამხანაგებს, მაგრამ კანონის პირველი მუხლი ამბობს: „მთავრობას უფლება აქვს რესპუბლიკის შიგნით ტერიტორიაზედ რეპუბლიკის ჩამორთმევის კერძო მესაკუთრეებს უძრავი ქონება; დროებით დაიქვროს ან მის სარგებლობაში მონაწილეობის უფლება დააწესოს, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროება“. და იმაზედ ხომ უკვე ვთქვით თუ ვის და როგორ ესმის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროება. ან მართლაც, კანონში არაფერია ნათქვამი, მაგ, სახელმწიფოებრივი საჭიროება თუ არა, რომ კერძო ბინა ან სახლი წართმევენ ვისმე და მისცენ ქალაქის მოსამსახურეებს—მაგრამ ართმევენ. არ არის ნახსენები შეადგენს თუ არა საზოგადოებრივ საჭიროებას, როცა მინისტრის ან მისი „ამხანაგის“ ოჯახი „სახელმწიფო“ ავტორიტარული საზოგადოებრივად, მაგრამ ასევე მისი ნათქვამი, რომ... მაგრამ სად ჩამოთვალის კაცმა რამდენი არ არის ნათქვამი და ნაქვარი კია. და ყველა ასეთი უკანონობა ახლა კანონად იქცა რაკი 100 სოციალ-დემოკრატი, ძალად დამფუძნებელ კრებაში აყვანილი, ამას ადასტურებს. არა გვერთა—არა, ასეთი კანონმდებლობისა? მეორე მუხლშია ნათქვამი, რომ „პირველ მუხლში აღნიშნული უფლება გუთვნის აგრევე ქალაქთა და ერობათა თვითმართვლობებს თავიანთ მოქმედების ტერიტორიის ფარგლებში კუთვნილებისამებრ“. ესე იგი მთავრობის ვარდა, ქალაქების და ერობების თვითმართვლობათ, ე. ი. იმევე ორი-



ჩეული ხართ და კონფერენციას დაესწარებით როგორც სრულ უფლებიანი დელეგატიო.

ასეთ აუღირობია არა მარტო „ავანტიურაში“ დაჯერება, არამედ ავანტიურის ჩადენაც აღვილია, როგორც ხედავთ. შეიძლება სხვადასხვა „პოლიტიკურის“ მოსახრებთ ბ-მა კვირამ და მისმა ამქარმა თავის დაძვრება აქედანაც მოინდომოს და სიკვამლე: ჩვენ „ავანტიურა“ საქმეებზე კი არ ვაბობთ, არამედ „ოსმალურხედავ“; რადგან ოფიციალად ბ-მა გვეგუქორმა ეს დასახელება, მაგრამ ეს ხერხილი მახრბელება, რადგან ოსმალურ ავანტიურასთან და ავანტიურისტებთან „კლდის“ არასოდეს არავითარი კავშირი არა ჰქონია და მისი მთავარი ხელმძღვანელები როგორც ბ-ნი პეტრე სურგულაძე ერთგულ-დემოკრატიკაში გვაყვით, მოხსენებებს კითხულობენ „კონფერენციანად“ და დამფუძნებელ კრებაშიაც გისხედან; მართალია უკანა, მერყევე სკამებზედ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ის „როგორგანიათა“; რომელიც — დასრულდა ჩვენი წამოსვლით, ფაქტიურად მოხდა სწორად ბ- ასათიანის და ბ-ნ სურგულაძის მერყევე სკამებისათვის; და რამდენი თვრამეტი როგორგანიათა და დაკორდები, რომ „განიწმინდოთ“ ამ ნამდვილ ავანტიურის ტებისავე? თქვენი პარტიისაგან მაშინ მტკვრაც აღარ დარჩება, მარტო ლაზრობისა და უპრინციპობის სურნელება სხვა არაფერი.

როგორც მკითხველი საზოგადოება დაინახავს, „აღიბის“ დამტკიცება კროველ-დემოკრატიისაგან მეტად მწელია, თუ კიდევ სხვა რამე ქორით არ გამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ; მაგრამ მაშინაც და ყოველთვის ისე მოიტეხებენ ფეხსა, როგორც ეს-ლა: მტყუარის ტყუილის კარადე უნდა მიჰყვეთ, ნათქვამია.

პროვინციის დელეგატებმა „ერთხანად დასძინესო, რომ მთავარ კომიტეტის ზომები ყველგან პროვინციაში მოწონებული და დადასტურებულია, ხოლო მათვე ელემენტების ჩამოშორება მეტ სიმტიკეცს შეჰმატებს პარტიის მუშაობას და მის დაწესებულებების ზრდას აღარ შეაჩერებს.“ ჩვენ კარგად გვახსოვს ის თაღლითური დეპეშები, რომლითაც „იწონებდნენ“ კომიტეტის მოქმედებას და არ გვაყვირებდნენ ცხლანდელი თაღლითური „მოწონებაც“; მაგრამ სიმტიკეცსა და ზრდაზედ კი რა მოგახსენოთ; ღმერთმა ქმნას თქვენმა ხმომ დათვი დაიქიროს, მაგრამ ჯერჯერობით კი დათვი სოციალ-დემოკრატიისა თავგებივით გათამაშებთ და თქვენც ამ თამაშს ხალხს აწვენებთ, როგორც გმირობას: ხედავთ, დათვიც კი ანგარიშს გვიწევსო. ჩვენ არ ვიცით, რა ზომისაა ეს „ანგარიში“; მაგრამ ალაც-მალაცსავე კიდევ ბევრს გვაკეთებინებენ თქვენისთანა „ურყევ“ ხალხსა.

მაგრამ ბ-ნ „კონფერენციის“ უტიფრობა იქამდე მივიდა, რომ ჩვენს შესახებ რეზოლიუციაში ასეთი სიტყვებიც კი აქვთ: „პარტიის ინტერესისა და იდეოლოგიის საფუძველზე მდგარ მთავარ კომიტეტის ნაწილს მუშაობის ნაყოფიერებაში ხელის შემშლელად ჰყოლიან (?) ის პირები, რომელნიც სხვადასხვა დროს ჯგუფ-ჯგუფად გავიდნენ კომიტეტისად, ყოველგვარ ზნეობრივ მოვალეობის მოუხდელად პარტიის უზენაესი ორგანო-კონფერენციის წინაშე“-ო. აი ამისა ჰქვიან გაბრიყვება კონფერენციისა. კონფერენცია პარტიის უზენაესი ორგანოა, მართალია, მაგრამ როცა უზენაეს ორგანოს ისე გააბრიყვებენ, რომ „მის წინაშე ზნეობრივ მოვალეობის მოუხდელობაზედ“ ალაპარაკებენ იმ ხალხის შესახებ, რომელსაც უფლებად არ აძლევენ ამ მოვალეობის მოხდისას, — მაშინ ეს უზენაესი ორგანოსათამაშო ყოვლია იმ ორივედ გაიჭვირასი, რომელნიც სათავეში მოექცნენ პარტიას. და განა ამ წერილიდანაც არა სჩანს თუ რა ხალხთანა ჰქონია საქმე „კროველ-დემოკრატიულ პარტიის მესამე კონფერენციის“?

ამ სიბრძნის დამალვას ბევრი დელეგატი მოინდომებს, მაგრამ პოლიტიკაში შეცდომებს არავის აპატიებენ ხოლმე და არ ეპატიებთ არც დელეგატებს და არც მათ მეთაურებს, რომელნიც თავიერი ლაზრობით სთხრიან სთხრიან და კატას გამოსთხრიან ხოლმე.

რ. გაბაშვილი

პასუხად გავ. „კრისოპან“.

„ერთობა“ ძალიან ვანურისებება ჩემს პატარა წერილს, არ ვიცი რატომ. მე ვაგრძელებ საზოგადოებას ის, რაც ვნახე და გავიგონე ჩემი ბათუმში ყოფნის დროს, არც მეტი და არც ნაკლები; ესეც გამოიწვია ვახუშტაძის მოთხოვნებულმა წერილობა ვენ. ნათივის მოწოდების შესახებ, რისი მოწოდებაც მე ვიყავი ბათუმში და რა შთაბეჭდილებაც მოახდინა ბათუმის ქართველ საზოგადოებაზე ამ მოწოდებამ; წერილით ვაფლზარე საზოგადოებას ეს და არავითარი განხრახება არა მქონია ვისმეს კუდათ მოხსენებისა, მაგრამ ნათქვამია „ყოველსა შეიან რაც სდგას, იგივე წარმოსდინდებისო“. „ერთობის“ პუბლიცისტიკაც ასე მოიქცა და მეტის განრისხებით დენიკინის მომხრებთან „სოციალ-დემოკრატიის მოსიხლვე მტრობა დაწყდა“.

მაგრამ ნურას უკაცრავად, და მოახსენებთ, რომ თუ დენიკინი — ნიკოლოზები ზღუდავენ და ზღუდავენ ადამიანის პიროვნებას წოდებრივის მტრადლობით, თქვენც კლასობრივის დიქტატურით, ავიწროებთ სხვის პიროვნებას და რაღათ გვიკითხებთ, როდესაც ჩვენ ერთსაც ზოგით ვუყურებთ და მეორესაც! ჩვენს მოქმედებაში ვერავინ აღმო-

აჩენს ჩვენი ხალხის მოლატეობას, თქვენი კი დღითი-დღე ამკარავდება თქვენი უფუძლიარი პოლიტიკის წყალობით საქართველოს დაუფრთხობა და გაღატაკება ქრებივითაც და ფაზიკურადაც; ნადგურდება მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობა, ეს ერთად ერთი წყარო სახელმწიფოს აყვავებისა! იგივე უტატო პოლიტიკის წყალობით გვეზოდებინა ისტორიულად შესიხარცხული ძეგლები სპეკულიანტების დაძვრით სხვაგან და იმავე დროს დიდი დაწვებული უმანსკელამდე სპეკულიანტები გახვევიან გარს და აღარ გვემის ვისღ უკითხებთ მოლატეობას და სპეკულიანტობას? სადა და რომელ დარგში არა გვათვს სპეკულიანტები და მოლატეობები?

ამასა ჰქვიან: „გაღმა დედავე, რომ გამოილა დაგიტოვონო“. მე ხომ კუდზე ვები არავისთვის დამიდგამს განზრახ, რომ აწრობინებულყოფი ვინმე. მე ვადავეცი საზოგადოებას ის, რაც ვნახე და გავიგონე, სწორეთა და უნაკლულთ, რაც შეეხება ჩემს ნაციონალისტობას ან ნაციონალ-დემოკრატიობას, ამაზე ვივასენებთ პატივცემულ „ერთობის“ პუბლიცისტს, რომ ეს ჩემს დიდებთან მიმართა და ამ ნაციონალისტობით ვაყაობ, იმიტომ, რომ მე არ ვახლავართ ნიკა აფხაზებული ინტერნაციონალისტი და არც კაცი ჰამია ბოლშევიკი, რომელთაც გარდა თვინათ შეუგნებელი ბრბოებისა არავინ არა სწამთ და ველურათ სდენიან ყველას, ვინც მათს ჯგუფს არ ეკუთვნის.

ცხრა მთას გადაღმელებს და ჩვენს მოსიხლვე მტრებს რაღაც ნიღბ ჩამოფარებულ ინტერნაციონალისტობითა და ძმობა-ერთობით იფიქრებთ და შინ კი დიდძალ ძეგებს სდენით ყოვლად უსამართლოდ, რითაც ძირს უთხრით საკუთარს კერას, მშობელ ქვეყანას და ხალხსაც; მართალი იყო ის უცხოელი, რომელმაც მოკლეთ ამისხნა თავისი შეხედულება რუსეთის ხალხზე და ჩვენზედაც და სწორეთ ესლა მომავალს „ერთობის“ პუბლიცისტის წერილმა იმ უცხოელის აზრი ჩვენზე. „მე არ შემიძლიან დანამდვილებით გითხროთ ის, რომ რუსეთის ჰუჭვი ჩვენშიაო, რომ გადმოსრინდონ, ეს ადვილი შესაძლებელია იმიტომ, რომ ადამიანის ფსიხიკაზე და ნამეტრად შეუგნებელ მასსავე ექსპერიმენტები მალე იმარჯვებს, თუცა დროებით, მაგრამ იმას კი დანამდვილებით გეტყვით, რომ ევროპის დიდი კულტურა დათრგუნეს და განიარჯვებს რუსეთის სიბრძნეებზე ესლა მეტივე საუკუნეა და ევროპის კულტურას ვერ გადალევავს ველურთა შეუგნებელი ბრბოები. ჩვენ ყოველსავე ცვლილებას მოვხდენით არა ველურთა და ყაჩაღურთა, არამედ მოვადებთ ისე, როგორც შევიფარება კულტურით აღჭურვილს ხალხს“ — და ამოლოვა უცხოელმა.

ნეტავი რა იქნებოდა ჩვენში, გინდებურებო რომ ყოფილიყვნენ, როდესაც თავინათ ძველს მშობანებელს მეფეს დაიცავდნენ? გვერთა, ცოცხლათ შესაძენდენ, ან აწი-მებდნენ ავაზაკურთა. როგორ მოიქცა და რა ერთი შეხება თვით სოციალისტური მთავრობის პრუხილენტი ებერტი გინდებურგს იმის თხოვნაზე სასახურადან გადაღდომის თხოვნაზე? რა ერთი და თავისხანობის კოლონია მიმართა გინდებურგს იმავე სოციალისტმა ებერტმა? ამ ესლა, როდესაც ის თავის ძველს გადაყენებულს შეეფეს იცავს და ესარჩლებს და თავსა სდებს იმისთვის, როგორ შეხვდა მას ხალხი და თვით სოციალისტური მთავრობაც? მაგრამ ეს მოხდა და ხდება იქ, კულტურულ განვითარებაში და ანა-დიკანურათ აღზრდილ ფანატისკოსებში!

რაც შეეხება იმას, ვითომც მე დენიკინსა და იმ ძალათა და ხელოვნურთა გავერანებულ ქართველს მხედარსა და ნათივის ვიცავდე და ვესარჩებოდე, ეს ხომ წმინდათ ფანატისკური ბოღვა არის, მეტი არაფერი! ანა-ნიკის პოლიტიკის წყალობით არის, რომ მარჯვენა ხელით ვანგრევთ და ვანადგურებთ ყოველივეს და ვიძულებთ და ვიდევინებთ ისტორიულად შესიხარცხულს ძეგებს რითაც ფსიკურათ ვაუფრთხობთ ჩვენს ქვეყანასაც! ამ მარჯვენა ხელით ვანგრევებთ ადგენა და აშენება გვიანდა მარცხენა ხელით, მაგრამ ამაო ცდაა! ხალხი იმდენით ვანიციდის სულიერ ტარჯვას ამ ნგრევა-მტატეობისაგან, რომ ეს ვულ ჩვილი ქართველი ხალხი აღტაცებით ეგებება სიკვდილით დასჯას სარაჯიშვილის მკვლელებისას. აი სადამდის მიდის ხალხის ტანჯვა, გინდა და ბოღმა და ეს კი მოიტანა უფუძლიარი პოლიტიკა და გაუგებრობა!

იმ ჩემს წერილში სხენებულ მხედარს თვითონ „ერთობის“ პუბლიცისტი ამართლებს, თუ კარგათ ჩაუკვირდება თავისავე სიტყვებს, სადაც ისა ბძანებს, ჩვენი მხედრები ვერ ეგუებინან ჩვენს დემოკრატიას და იმიტომ ვარბიან დენიკინთანაო. ეს ხომ მეტის ტეტი დამეცობა არის ნამდვილი და ქვეშარტი დემოკრატიისთვის და თავის თავისვე გამართება. ნუ თუ მართლა ანაიარს საშოშროებისა და მიუყარებელს რამეს წარმოადგენს, ჩვენდა სავალალოვ; ჩვენი დემოკრატია, რომ მათთან აღარავის აღარ ედგომება გარდა მათგანვე აღზრდილ ფანატისკოსებისა? ეს ხომ საშარცხენით უნდა დარჩეს ცხლანდელ კულტურულ კოლონიისთანავე! ეს ხომ უარყოფა იქნება კულტურისა და განა ამას აიტანს ნამდვილი და ქვეშარტი დემოკრატია? განა შესაძლებელია თუნდაც კულტურულს ქვეყნებში მარტო მარტო ერთს რომელსავე ჯგუფსა და კლასს შეეძლოს ცხოვრება და სხვათა კი გაყვებულნი და წაშებულნი იყვნენ? ეს ხომ კაცობრიობა და ველურობის წარმოადგენს და ვისთვის არის საჭირო ესა? იმ ახალგაზდა მხედარმა სწორეთ ეს გვისაყვედურა: „ჩვენ თავგამოდებით ვიბრძოდით ნიკოლოზის ბოროტებისა და იმის მოწოდების წინააღმდეგ და გვერანდა დამყარდებოდა სერთოდ თავისუფლება და ესლა რასა ვხედავთ ხომ ხედავთ რანაირთ გვედენიან იმისთვის, რომ ჩვენ ნიკოლოზის დროინდელი აფიკრები ვართ და მასთან არ ვეკუთვინთ სოციალისტთა ჯგუფს; განა ამას ეძახიან თავისუფლებას? იმიტომ ჩვენ და შემთხვევით ვერც ნიკოლოზის რეჟიმის გავი-ზარდავთ და ვერც დენიკინისა და ვერც მათს მსგავსს! თუ კი ხალხი შებოროლი იქნება მონობისაგან და ერთი განბატონდება მეორესა, ჩვენ ერთნაირთ შეგვიბრძოდებით ყოველივე ბატონობასა და ადამიანთა ჩავრას;

ბატონი და მხავეტილი, სულურთაო, საიღამაც უნდა იყოს ის, მარცხნივ, თუ მარჯვნივ!“ იმიტომ ჩვენც გულახდილათ ვიგასუხებთ: შორს ჩვენგან ბატონობა, შურის ძიება და ტრანაია!

წინ ქვა და უკან მეწყვილე დენიკინის მტრადვალოთ! მაგრამ დიდათ სასურველი კი იქნებოდა, რომ ჩვენი ინტერნაციონალისტი სოციალ-დემოკრატები ანადგომებოდნენ ნიკოლოზ-დენიკინებზედ კაცთ მიყვარებობითა და სათანოდებთ და წაგებულნი, ტყიანობა, მონობა და კაცთ-მოძულეობა სხვას გადაულოცონ, ჩვენ ამით შეგვიძლიან

შემოვიერთო ყველანი და გავამაგროთ ჩვენი ქვეყანა უამისოთ კი მტრის ლუკმანი ვაგებდით ყველანი ერთთ სოციალისტებიც და არა სოციალისტებიც! მაქ რისთვის განრისხებულა „ერთობის“ პატივცემული პუბლიცისტი? შეიძლება იმისთვის, რომ ქუჩურის ლანძღვა-გინებით ვერ შევამკეთ ის ახალგაზდა მხედარი! და ნუ თუ ადამიანს არ უნდა შეეძლოს ჩვენს კურთხულს რესპუბლიკაში და ისიც დემოკრატიულში თავი, სუფალი აზროვნება და შეხედულება იქონიოს რომელსა-მე სავანზე და ყველანი ინგვიზიციის დროინდელს მონობას უნდა დავემართოთ უბრტყვეოთ? სადაა არის აქ თავისუფლების ნასანი? იმ მხედარს რაც არუფთხართ და არ ვარწმუნებდით იმის შეცდომაში, ის ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ყოვლად შეუძლებელია სახელმწიფოს ამნაირათ მოწყობა. ამნაირათ დიდხანს ვერ გავრძელებდა და-ტყუილად რაღათ უნდა შეგვეწიროთ? ნათქვამია: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო...“ ჩვენ უნდა ვიბრძოდით იმისთვის, რაც საერთოდ მიეთღს ხალხსა და ქვეყანას ბედნიერებას მოუტანს და არა რომელიმე ჯგუფს ანუ კლასსო!“ რაღა გვეთქვოდა ამან?

ამს ესლა თვითონ „ერთობის“ გონებზე, რომ ირცენით სახელმწიფოს მოწყობა შეუძლებელია! იმიტომ უკან უკან იხვევდა და სულ სხვას ურჩევდა თვინათნივე გაბრძვილებულს ხალხს ვიდრე წინად ურჩევდნენ, რომ მათ იბატონთ თვინათი შეცდომები და ნულარ დალუპავენ ქვეყანასა და თავის თავსაც!

ამას ეძახიან თითონ და ნუთუ ჩვენ არა გვიქვს იმის უფლება ესთქვათ ის, რაც შეადგენს ჩვენს იდეალს ჩვენის ქვეყნის საბედნიერათ. ეს იდეალი კი არის რეალური საქმიანობა და არა უსაქმეო და ფუქსადი ოცნება! ყველასათვის თანადენი ნათელი ხდება, რომ წარმეგვა-წაგლეჯით, ჩვევა-ნგრევით სახელმწიფო არ შენდება და რაც დანგრეის, იმის აშენებასაც ველარ მოახერხებენ. ვისაც ნგრევია და რბევით უნარი აქვს, იმას ყოვლად შეუძლებელია იმავე დროს აშენების უნარიც ჰქონდეს; ეს ასე არის და რათ გვირისხდებიან „ერთობის“ ბეღები, როდესაც მათს ულაჯურა შემცდარ მოქმედებას კრიტიკულს თვლით უყურებენ!

რა საჭირო არის ბატონებო, ძველბურთი, ტირანული ძალბატონება, ეს ხომ ნიკოლოზის დროინდელი პოლიტიკა არის; ქვეშარტი პოლიტიკა და ჯანსაღი შემოქმედება განიარჯვება ყოველთვის და ამ ქვეშარტისთვის წინაშე აღრე თუ გვიან ყველა ჩვენთაგანი ქედს მოიხრის და ეს იქნება ყველაზე დიდებული გამარჯვება ისე კი ურჩავინ იფიქრებს, რომ უხეშის ძალბით მოავებელი სიყვარული ხანგრძლივი იყოს! ამატომ ტყუილია „ერთობის“ პუბლიცისტის საყვედური, რომ მე არ ვსოციალისტობ, იგი ვერც დენიკინის მომხრედ განიღოს თავისი დაქინებით! ხალხი თანდათან ფიხლდება და ერკვევა ხელოვნურათ შექმნილ ბურჟუაზიან და ამიტომ სჯობიან მეტს საქმიანობას შეუდგეთ საერთოდ ხალხისა და ქვეყნის საბედნიერათ!

მე არა თვალთმაქცობა! მთელ განათლებული ევროპა დასკინის ჩვენს უილაჯობასა და ფუქსადობას და დრო არის ანგარიში გაუწიოთ მათს რეალურს საქმიანობას, თუ გვიანდა ჩვენი ქვეყნის მოწყობა და მოწესრიგება და თუ არ გვიანდა იძულებული გახდეთ სხვის კლასებში ჩავევადეთ!

იოსებ ი. გველსიანი.

ბ-ნ ლეო რუხაძის პასუხის ბაგო.

ვახეთ „ერთობაში“ ბ-ნი ლ. რუხაძე უცნაურ პასუხს იძლევა „კლდეში“ წამოყენებულ ბრალდებათა გამო: „კლდე“ ისეთი უტოფარი ენათს წერს, რომ ჩემი თავისი შეურაცხყოფად მიმართა ვუხსნურა ვეგად იმ ცილის-წამებაზე, რომელსაც მასში აქვს ადგილი... მხოლოდ „თუ ვინმე ასე არ ფიქრობს და ამას რაიმე გზით ად-ნიშნავს, მე მზად ვარ მასზე მივდე და ვოგვეგვარი ან-გარიში ჩემის მოქმედებისა გადაუშალო...“

ასეთი კომპანიცია ბ-ნ ლ. რუხაძეს ვერას უშველის; იმიტომ, რომ ყველას ახსოვს „სხვა პირთა“ და სხვა გა-ზეთების ლაღლი ბ-ნ ლ. რუხაძის საგმირო საქმეა გამო, მაგრამ მაშინაც ბ. რუხაძეს არაფრით არ გაუმართლებია თავი! მოვარგებთ, თუნდაც ვახეთ „სახალხო საქმე-ში“ დაბეჭდილ კორესპონდენტებს, რომელიც ეკუთვნოდა ახალციხის სოციალისტ-ფედერალისტთა მეთაურებს, მაგრამ ერთად ერთი პასუხი მათგან წამოყენებულ ბრალდებათა იყო ის, რომ ბ. რუხაძე დღეს საქალაქო არჩევნებში საერთო ბლოკის სიით გამოდის მის ბრალდებულ ფედერალისტებთან ერთად...

რაც შეეხება „კლდის“ გვერდის ავლას, ჩვენ კარგად გვემის ბ-ნ რუხაძის სოფრთხილ-კარგუხოვის პოეტიკის შედეგად. რუხაძისთანა პერსონაჟებმა ვაი-ტეს, თუ რას ნიშნავს „კლდეზე“ გადარჩება... მაგრამ კარგუხოვის საქმის შემდეგ მთელი საქართველო იმაშიც დარწმუნდა, რომ ჩვენ ყველაფერს დაგვბრალებს კაცი, მაგრამ იმას კი ვერა, რომ რაც „კლდეში“ დაიბეჭდა ვინმე ბოზოლაზე, ის ტყუილი იყოს; თუ ბ. რუხაძეს არ ჯერა ეს, მობრძანდეს და პირუ-თენელ სასამართლოში სცადოს თავისი ბედი!

„აზერბეიჯანი“ და „კლდე“

ბაქოს მთავრობის ვახეთ „აზერბეიჯანის“ მე 138 ნომრის დაბეჭდილია შემდეგი სარედაქციო წერილი: „მეორეები და მტრები“ ვახეთის მოყვას ერთად ირი წერილი, ერთი ქართულ ნაციონალურ პარტიის ორგანო „კლდე“ და „კლდე“ (დ. ვანახის წერილი „საქართველო და აზია“) და მეორე რედაქციო რედაქციო რედაქციო ვახეთ „კლდე“ და „კლდე“ (რომელიც აზერბეიჯანის უფროს „მეორე ოსმალეთს“); თვით ვახეთი „აზერბეიჯანი“ შემდეგ წინასიტყვაობას უძღვნის ამ წერილებს:

რედაქციოდან. ჩვენს მოგვარეს ორი წერილი, ერთი ქართულ ზრე-სიდან, მეორე სომხურად, საქართველო-აზერბეიჯანის კავშირის შესახებ; ამ წერილებს ჩვენ კიდევ დაგვარჯვებით და გავა-შეკებთ მათ დაწვრილებით, ჯერჯერობით კი ჩვენ გვიხდა

მხოლოდ ვსთქვათ ის, რომ ეს წერილები ქვეყნის მთელ გვერდებზე, თუ სად არან ჩვენი შეგობრება და და სად არან ჩვენი მტრება.

ეს ორი წერილი უნდა იყოს ჩვენი სახელმძღვანელო ძაფე როგორ ჩვენ ვარჩევთ გზას და თანამგზავრს ამ გზაზე.

ეს წერილები ძვირად ჩვენთვის უმთავრესად ამ კულწრფელობით, რომელთაც გვეგუება ჩვენ ქართველი ხალხი და ამ შხამით რომელიც გამოუშვა სომხურმა ზრე-სამ აზერბეიჯანის მიმართა“.

ოსური საფრთხე (წერილი ცხინვალისაგან)

სახმრე და ქვეყნის ისტორიულ ქალაქებზედ გა-ლიქტევე“.

შარშან სახმრის რაიონში ქართულ სოფლების დამ-ყრობის შემდეგ ვაიყინა მთავრობის ჯარი... მამაც არტილერისტის იშხნელის რაზმმა სამოქმედო ფრთა ვერ გაშალა, რადგან შარშან სოციალისტურმა კა-ბინეტმა ოსის ყაჩაღებს დღეს ოსურ პოლიტიკურ ავტო-ნომის განმასახიერებელთა „ანისტიკა“ უბოძა.

განვლო ერთმა წელმა და ცხინვალის რაიონში ვაი-გზავნა მთავრობის ჯარი, ძველი ოსური საფრთხე ვაი-ც-ხლდა სახმრეშიც.

გენ. ყარალაშვილის და ლეო ერესელიძის მოსვლის შემდეგ სიამით იღამებს და დამშვიდებული ითენებს ყველა მცხოვრები, წინად ოსებისაგან ყოველ წამს ვაიარცვას და სიცოცხლის მოსპობას რომ მოელოდა.

ქართული სოფლები ცხინვალის რაიონისა განსაკუთ-რებულ დადგენილებით ემუდარებიან ცხინვალის რაზმის უფროს გენ. ყარალაშვილს, ოსების წინაშე ბედის ანაბა-რად ნუ დავეტოვებთო. ქართველები ამბობენ: იარღი აე-ყარა ქართველ მცხოვრებთ, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, ოსები კი ისევ შეიარაღებული რჩებიანო. თითქოს შარშანდელი ოსურ კომედის ხელ ახლა სა-ჩვენებლად ცხინვალი იქცა სახმრედ.

ცხინვალის ჯარი გაჩრდა ცხინვალის რაიონის ქარ-თულ სოფლებზე და არა თუ წინ ვერ წავიდა, პირიქით, ზურგს უკან მყოფი შეიარაღებული ოსური სოფლებიც ისევ ძველ მდგომარეობაში დასტოვა, რადგან ბრძანება იყო „ოსებს ხელი არ ახლოთო“.

ამ რიგად სახმრე და ცხინვალი ქართულ ლაშქრის-თვის მომავალდებელი შემბორაკეი ადგილებია, ხლო ოსებისთვის კი — ვერდენია.

ყოველი ოსი ემუქრება ქართველს. ყოველი ქართვე-ლი მთავრობის ჯარის ვანათოდან წამოსვლით თავზარა-ცემულია.

უკვე იყო შემთხვევა, როდესაც ქართველებში ჩამო-ვიდა ნაყაჩაღარი ოსი მილიციელი. ქართველებს თოფი ეს-როლა, ერთ კაცს სცემა და თან უთხრა: დღეიდან, ქარ-თველებო, თქვენი სული ისევ ოსების ხელშიაო. ამის შესახებ იცის ცხინვალის რაიონის კომისარმა ბ-ნმა ციციშვილმა. საყურადღებოა აგრძელებ თუ რა მდგომარეობაა ამ ეამად ოსებით დასახლებულ ადგილებში.

ყოველ სოფელში თავისი ოსური მთავრობა ჰყავთ, რომელიც ირჩევა თურმე ვიღაც ოსი გენერლის ბრძანე-ბით. ამ ეამად ცხინვალის რაიონის კომისარმა ოფიციალი მოხსენებით იცის, რომ ინაურში გაკომისრებული ვიღაც ოსი. ბოკოტე ვაიოუცხადებია თბილისის მთავრობისათვის და ემორჩილება მხოლოდ ჯავსა. ამ მხარის კანონიერი ქართველი კომისარი კი ვერ ბედვს კონკურენტთან მის-ვლას; რადგან თავის თავი ოსების თვალში გიორგი მარა-ბელზე უფრო ძვირფასად არ წარმოუდგენია და ბოლოს არ უნდა უბრალდებ თავის წაგება...  
ჯავა კი ძალდეს იკრებს და ოსურ სოფლებს პრო-ვოკაციით შხამავს.

ოსურ ეროვნულ საბჭოს განსაკუთრებულ მოწოდე-ბით მიუშართავს ოსებისათვის, რომელშიც ნათქვამია, ქარ-თველებმა ბუხიც რომ ავიფრინონ, იმ წამდე ოსურ ეროვნულ საბჭოში ირეთეთ და მერე ჩვენ ვიცითო. ამის შედეგად ოსს ქართველმა გამარჯვებამ რომ უთ-ხრას, ის მინც უკუღმა ღებულობს და საბრალო ქარ-თველს უჩივის. ოსური ეროვნული საბჭო სავსეა მომჩიერე-ბით, იქ ჩივიან ყოველგვარ საქმეებზე, საკონფიდენცელ-სიც და სხვაზეც.

მთავრობის ჯარს ოსები ვერ ითმენენ, გველებსავით სისინებენ, რომ ეს ჯარი მათ არ ესაჭიროებთო. ჯავაში მოუკატებია რუსულათ აღზრდილ ოსების ინტელიგენტებს და ესენი მთელ ოსობას იბოროტენ. ამ ინტელიგენტის ერთი თვალ საჩინო წარმომადგენელი ოსურ საბჭოს თავ-მჯდომარე ქსენაროვი ოფიციალ ლაპარაკის დროს ამბობს რევოლუციის პროცესში ივრა საქართველო, ახლა უნდა ივრას ოსეთი და შემდეგ კი სამეგრელო. აი, როგორ მსჯელობენ მუველებიც გენიოსები. და აი ასეთ დროს მთავრობა ჯარების გამოყვანას ფიქრობს ცხინვალიდანაც.

ი. დიდიძე.

ქართველთა გულგრილობა.

ქართველი ერის ისტორიას რომ კაცი ჩაუკვირდეს, ერთ მოვლენას დაინახავს, რომელიც თავიდან აქნობამდი-სინ მოსდევს და მოსწავის შეხედვით ყოჩანინიო.

ეს არის მისი ისტორიული გულგრილობა, ე. ი. გადაკარბებული მინდობა და გულწრფელობა, ლმობიე-რება და ბოროტების მალე დაიწყება. ბევრისაგან ბევრი მავალითებია, რომ საქართველოს მოსიხლვე მტერი, გამანადგურებელ გრავალდ მოვლენილ დამსხრებელ დაპყლებულ, შეფარება საქართველოს კალ-თას და როგორც სამოთხეში, შევებით და სიხარულით მო-უწყვია მას თვისი და შევილივილთ თვისთა მომავალი ბედ იბზალი, უყუთესად, ვიდრე თვით ქართველს.

ნადეიკიშვილები, უსენიოები, ავადგვიშვილები, არაბაშვილები, სომხიშვილები, არუთინაშვილები, გოგინა-შვილები, უსუფაშვილები, ალუშაშვილები. თითორსშვი-ლები, თედეშვილები, რუსიშვილები, მოსულიშვილები, პროტობოკოვები, კარაშენკოები, დე სხვ. მრავალი ვინ არიან, თუ არ ლტენი, სომეხნი, ათაბოგნი, ოსნი, ქისტნი, რუსნი და სხვ. რომელთა უარესი მტერი საქართველოს არ ჰყოლია? როგორც მაშინ, ელაც ისე: ქ

ვალანაურობა, გლეხობა, სამღვდელთა იკადენენ სამშობლოს სახლობს, ეწირებოდნენ ზეარკებად სამშობლოს კეთილდღეობასა და შინთა დარჩენილნი უარღებულ ვაჭრობას არზინ—სასწორით აწარმოებდნენ და ჯიბეებს ისტელებდნენ, დაბები ქაბარში აღარ ეტეოდან.

ესაღა იხევე არ არის? ვინ აწარმოებს თუ არ ისევე ის თავდაზნაურობა, სამღვდელთა და ქართველობა? ყველაზე უარესად ეს წოდებანი დასაჯუნ და ჰგინავენ, გარდა იმ კულმლია ბავციებისა, რომელნიც წინანდელ რეჟიმის დროს „როხა ცუცქები“-საგით „სლუხუნ“-ესაუბნენ და დაცვიდნენ, როცა კი საჭირო იყო, რამელთაც ესეა ორი და სამი ადგილი უკავიათ და ნამდვილი მოქირანულენი კი ესეა იტანჯებიან, როგორც წინეთ, ყოველ წოდებაში ამას შეხედობთ ჩვენში და განსაკუთრებით სსლუღის წოდებაში, სადაც მობარახტრედ გამოზარდებულნი, რიხით და ზეიმით უთხრიან ძირს საქართველოს ეკლესიის კეთილდღეობას და დარღვევისკენ მიაქნევენ. ვინც ვოსტორგოვის, დროთივისისა, გერმანისა, ნიკოლოზისა და შეგვლისკის ყმანი იყვნენ, უხმონი ვითარება თეხი, სწორით ისინი ებატონებოდნენ საქართველოს აღმშენებელს (წ) ნაკლებ, დარღვევას კი ძლიერად. ამაზედ შემდეგში გვექნება საუბარი და ესაა კი უნდა მოგახსენოთ ამ წინაურ და ურგში მოქცეულ ვაჭრების შესახებ, რომელია სიხარბე და გაუმადლობა დასკა ერთი, სასოწარკვეთილზამდის მიჰყავს, სული შეუხუთა და გაქირავებულთ გამკითხავი ჩაღრავინ არის. მკითხველ, მომხმარებელი და მყოფდელი, ჩაუტყუროდით თანაც როგორის სიცილით და მასხარაობით უბედურდით თვალმებს ეს ვაჭარბანი ვაჭრები?

„ერთი მანეთი ერთი კაპეტი ღირს, ამა რა ფასი აქვს?“  
უკაცრავად ვე სიტყუა, ამიტომ რომ ვე ლითაია შენის სარფისათვის მოგიგონია. ვე რომ სწორედ ავრ არის, მაშ შენ რომ ბალს მივახებ ექვს მანეთს, ამა ექვს კაპეტი მოგეცე, თორმეტი კაპ. და მომეცი, რად გინდა, რომ ექვსი მანეთი არ აიღო?

„მაშ ექვსი კაპეტი პური მყოფა?—მაშადად ჩვენ ერთი მარგის ვახრობთ და ეს არის! რა შეშაში მთავრობა, გლეხობა, სამღვდელთა, თავდაზნაურობა? დაწვეული ბატონების დროსაც კი შიმშილით ძალს არ მოჰკლავდნენ, არამც თუ კაცს! ესაა—ბუნებრივი იყუებანი შიმშილით! აი რად არის ბოროტება, რომ ჩვენი მტრები კისრებდნენ წამოგვასხდნენ, ეკონომიკური მათ დავგიმონავს, გარედ შესს ვაგონებს სხვა ფერად ჰლდებათ თავიანთობას აწერავენ, ორთქმავლებს გადააქნობავენ მის და გეუბნებიან, ეს შენი არ არისო; აქ არიან ისინიც იმათ ხალხიდან, რომელთაც ევროპის უბრები მიიღეს ჩვენი შვილების დახოცისათვის, გოგონას ეკონომიკური ბოროტის წაღიდან დაწყობილი ქედადისინ, უბრალო მშენილიდან—პურ, ღვინო ხარკადისინ, ხელოვნურად მებარობარობენ ჩვენებსაც ვაჭრობაში, რომ იმათაც ჩვენ ვაჭრები არის, მაშე, და არხინად განვილიან დღეთა.

ჩვენ კი გულუბრყვილოდ და გულწრფელად ვიბრალბთ ლმობიერებით მეცხვეთი, იმათა ლტოლვილებმა ლუქმა პური პირიდან გამოკაცლეს ჩვენს შვილებს, არ იშლიან დღემდე მტრ-მოწყობისა, არა ჰპურია ჩვენთვის თეთრი კბილი და შავი გული, ჩვენ კი სულაყოფილიყურს სულგრძელობით ვექცევით და არ არის დაფასება! როდემდისინ? ნუ თუ ბოლო აღარ უნახს!

წოდებში თუ 1500 მ. მიუკეც, მასლა არის შეიქცეობა, და თუ კი 1000 მ., მაშინ არ არის? ეს ხომ სიტყვა და ბოროტებაზე უარის ბოროტება!

ღრა არის კარგი ცოცხი და მათი გაცოცხება, შეამცირონ უხელო მოვაჭრეთა და მწეწრბომლოთ ფეხზე მოვაჭრეთა ორცეტი, უსაქმურები გარკონ ზინა-სოფლად, თავინით სამშობლოში და აღარ გააწაწინონ და სოფლად სავსეობა აუტყდალან, თორმეტი დიდი ვეღელურება მოგვეღის!

**აფხაზეთის ვითარება**

მოგვყავს ბ-ნ ნიკო თავდგირიძის წერილებიდან კიდევ შემდეგი ფაქტები და კომენტარები აფხაზეთის ვითარების შესახებ:

**„ბაბუშერელი მეგრელები“**

„ბაბუშერელი ანუ დრანდელი მეგრელები სრულიად არ ეკუთვნებიან იმ ტიპს სოფლის მშრომელ—მეშენისას, რომელთა რიცხვი მრავალია სამეგრელო—იმერეთში; ეს—ბაბუშერელი ნამდვილი „ბურჯუნი“ არიან: გადმოსახლებულ არიან ზუგდიდ—სენაკის მახლობლად და დღინაღებულნი გიორგი დიმიტრის ძე შარავშიძის—რუსეთის ყოფილ დელეგაციის სახლ-უხუცესის სამხიარტო მამულზე. არ არის ამ ბაბუშერელ მოაჯარადრთა შორის ისეთი, რომელსაც ორასი-სამასი ფუთი სიმინდი გასყიდის არ ჰქონდეს; თუ ძველ დროშიც ეს სიმინდრე იყო, ესეა ხომ, სულ ცოტა რომ ვინაგარეშით, 20—30 ათასი მანეთის შემოსავალი; ასეთი მოაჯარადრნი „პრაღუტარებად“ მოხსობენ ჩვენა შარავშიძის პარტიის მოქადაგებმა. ამავე დროს კი იმავე კოდორის ნაწილში მცხოვრები—მეამბულე, რომელიც სულ შუათანა რიცხვით, 600—900 მანეთის იღებს წელიწადში ოცდა-ათი ათასიანი შემოსავლის მებატონებ მოაჯარადრნიცავე, ფერადნი ამ მოაჯარადრის მყველდელად არის გამოცხადებული;

დრანდ-ბაბუშერის სამხიარტო მამულში დასახლებული ოთხი კომლი მოაჯარადრე მეგრელი, მათ უქირავებ ოთხი ათასი დენეტიანი მიწა; 1917 წლამდე მებაბულეს ხელშეკრულების თანახმად აძლევდნენ შემოსავლის მეოთხედს, მაგრამ რაც ნოემბრის დამლევაშის ოჯახურ საქართველად დაბარჯებულა მოაჯარადრეს ახალ მოსავლიდან ის არ ივლებოდა;

მემამულეს ამა 1917—1918 წ. მოსავლად არაფერი არ მიუღია, არ მიუღია ავრედვე, არც გადაუხდელი იჯარა 1918, 14 15 და 16 წ. (ხელომეცხვი). წელიწადში სამხიარტო ტომამულში 60—80 ათასი ფ. სრულიად ძალადუტანებლად შემოდოდა იჯარა. თვით მოაჯარადრნი ამა მანეთად ჰვიდნენ ფუთ სიმინდს, მაგრამ ჩვენ რომ 50 მანეთი იანვარიშით, წელიწადში 3—4 მილიონი ხედ-მეტრ ფული ვართ შერჩენილი ბაბუშერელებს და ორი წლის განმავლობაში 6—8 მილიონი; თუ მას მიუბრუნებთ ორ ამდენს სომხების და ბერძნების იჯარას დაინახავთ, რომ 400-600 მეგრული მოაჯარადრისათვის ჩვენ ნოტიორად ღარიბ სახლმწიფოს

უჩუქებია საერთო შემოსავლიან წყაროდან ოცი მილიონი მანეთი, მხოლოდ ამიტომ რომ ისინი „ბოლშევიკთა“ ბანაკში გადავიდნენ და ჩვენ ხალხს იმი გამოუცხადეს. მდიდარ ბუნების სიხვეთი განებერებულ ბაბუშერელ მეგრელების ქონებები დაიბანა ყველა ის უსიამოვნება, რომელნიც მათივე ღირსეობა და ახმაზო შორის არსებობს ამ ბოლო ხანებში. როცა შევიწროებული გლეხი საყვიდურს ატყავდეს მემამულეზე, ყველა გიორგი ადამიანი იმას მშვიდობიანად მოუსმენს, მაგრამ, როცა მატყუარს, სხვების მყელბედი მოაჯარადრე ვარემობით სარგებლობს და ქვეყნის გასაბრყვილად სოციალისტობს, ბოლშევიკობას სრეობს, არ შეიძლება არ აღუდღეს ადამიანი, როცა ბაბუშერელი, განგებ ნაკვეთ ტანისამსში გამოწეობილი, ლაპარაკობს ქეთაისიდან, ან თბილისიდან ახლად ჩამოსულ მქადაგესთან, რომ მათ უსამართლოდ ეპყრობა მემამულე, რომ მათი ოფლით სხვები შიდადებიან, ვინც მათ ვერ იცნობს, მართლა შესაწინაურდოდა ჩასთვლის მათ ვიდრეს, მაგრამ ვინც იცის, რომ ამ მოაჯარადრებს ათასი მანეთის სიმინდი, ან თუთუნი აქვს ნახულა და, რომ სხელმწიფოს თანხიდან—საბიარტო მამულს ანონიერ შემოსავლიან მას 30-40 ათასი მანეთის ქანება აქვს მიუბრუნებელი, ნუ თუ შესაძლებელია გულ დამწვიდებით მოსმენა ასეთ უსამართლობას? ამნაირ ბაბუშერელ „ბოლშევიკების“ მოსაწირებლად განდევნა ვლილო ჯულა და მისა შტაბმა ძობისა და ერთგულების დასამტკიცებლად მოსული ექვსასი შეიარაღებული მეომარი ამაზია.

**„აფხაზეთის ჩივილი“**

„როცა ვალიყო ჯულელის და მისი შტაბის ბრძანება—მოთხოვნილებით აფხაზეთა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი, შევიკრიბენ მოქმეში ყველანი ერთად, როგორც ახნაირი ისე გლეხი და შეთანხმებულად გადასწყვიტეს ბათომში თათრების წარმომადგენლებთან დელეგაციის გაგზავნა დახმარების და მფარველობის სათხოვნელად; ვინაზულე გავუგონიანი პირები და გულდაწყვეტილმა ვისაყვიდურს „რას შერებით, როგორ არ გარცხენიათ, ძიბობს ათასი წლობით დამკვიდრებულ კაცობის, მთელს მომავლს თქვენსა და ჩვენსაც ასე აჩქარებით მოუფიქრებლად სობობლუბათ. ამაზედ აღუღებთ და მწერე გრძნობით მისაყვიდებს: „რა ექნათ, ბევრი ვიფიქრეთ, ვიცადეთ; გვეგონა: ქართველობა ყურადღების ღირსათ ჩავეთვალდა, ჩვენ გრძნობას, ჩვენ ადამიანურ ღირსებას პატებს ცემდა; იმდენად უმნიშვნელოდ ჩავეთვალეს, რომ ერთი დარბაზელი, ნამდვილი ქართველი კაცის გამოგზავნაც ვერ გამოიქვტეს ჩვენთან“-ო, ჩვენ თვითონ ამ უკანასკნელი რევოლუციის დროს რამდენიმეჯერ ვიცავით ტულიშში: გვინდოდა ვაგვემო, ვინ არის ქვეყნის გამგებ-პარტიის, ვინ ვამხიბავს მთელი საქართველის აზრ-შეხედულებას. რამდენიმე თვებით ვიცადეთ იქ, არავინ ყურადღება არ მოგვკვიცია, ვერავითარი გარკვეული აზრი ვერ გამოვიტანეთ ვერც ერთი მოღვაწისაგან; იძულებული შევიქმენით მთიულეთთან მიგუბეფივით და მათი გამოწეობა გავგვეც; დიდის თავაზიანობით მივიღეს, „კაცთ ჩავეთვალ“- პატევი გვეცეს და ამით ახსენება ჩვენი ბათონ კავშირის შეწყობის განზრახვა; შემდეგ, როცა ქართველებს ამ ესიამოვნათ ეს საქმე ჩვენს ვერ შეგძელით თქვენთან რამდენიმე საუკუნით დამკვიდრებული კავშირის გაწყვეტა და ისევე მთიულეთთან დავარღვიეთ ხელშეკრულება.

ჩვენი ბედის გადაწყვეტა თქვენს ჩავაბრუნეთ, ვერა მართლები და ჩვენი ქვეყნის გაგვეპარონები თქვენი ძეგლი იყვნენ, დღესაც არიან, მაგრამ პარტიონობის მაგიერ აუწერელ განსაცდელში ჩავვაგდეს: ავგაობრე დაგვაკიეს. მთელი არფე-დარფეა ჩვენ ცხოვრებაში იმიტომ მოხდა, რომ ერთი გამოცდილი მტოდნე, ვინაზა-განგებობული კაცი არ იყო ქვეყნის სათავეში; ამას ჩვენ ყველა ვედავო მაგრამ ვითმენდით; ესეა, როცა თვით ქვეყნის მართვლებიც და თქვენი მთავრობის წარმომადგენლებიც ორ განდევნეს მათივე სისუსტის გამო ბოლშევიკებმა, ჩვენ შეგვეძლო ჩვენი ძალით მოგვეგონოთ და გავგვედენა ვე ბოგანო ბრბო; მაგრამ ჩვენ უცდილეთ საქართველოს მთავრობის განკარგულებას; ჩვენ გვინდოდა საერთო მთავრობის სახელით და გრძანებით გვემოქმედა. ესეა კი გამოიკვე, რომ ჩვენ საქართველოს მთავრობა ანვარიშს არ გვიწვეს, არაფრით არა გვეფლის. შეურაცხყოფას ვევენებს, ჩვენთან ერთი კაციც არ გამოუგზავნია ისეთი, რომელსაც ჩვენთან დამშვიდებით, დარბაზლურად მუსაიფი შეგძენს; ჩვენი მოსიმინოს თუ რამეში ვცდებით დავგაჯეროს ვეაწავლეს.

აღარ შეგვეძლო მეტი მოთმენა. ვიცით, რომ ვიდრე ბოლით, მაგრამ არის ისეთი წუთები ერის ცხოვრებაში როცა ის თავის განწირვას არჩევს შეურაცხყოფის მოთმენა.“

„ის გარემოება, რომ აფხაზეთში არც ერთი საეპრო და სამარეწველო საქმე აფხაზის ხელში არ არის, დიდდ სწენის ნამდვილ აფხაზს: მას ჰგონია, რომ ამაში მათ ქართველები უშლიან ხელს. სწორედ ისეთივე გრძნობა აფხაზებსა და მეგრელებს შორის, როგორც ქართველთა და სომხებს შორის და ამ ბოლო დროს აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა შორის. სიმართლე რომ ვსთქვათ აფხაზს ქართველის საწინააღმდეგო არაფერი არ აქვს; ქართველი მას წინამოდგენილი ჰყავს ქართველ კახელის ტიპის; დაბაისისელი, დინჯი, გულალო, ხელგაშლილი, ზრადობიანი. დაბეჭდვითი მშობლება თქვენს: ჩვენ განაპირა ქვეყნებში—აჭარა—აფხაზეთში, რომათ და ოც იმერელ-უარულ-მეგრულ მილდეწეებთან ერთად ორი-სამი ქართლ-კახელი თანამშრომელი მარეველ-დამრიგებლად ყოფილიყო, ბევრ ხოფათს და უსამოვნებებს აესცდებოდით. შესაძლებელი იყო ჩვენი საქმე ამ მხარეებში სულ სხვანაირად, ჩვენთვის სასურველად, მოწყობილიყო...“

**სასამართლოს დამოუკიდებლობის დარღვევა**

ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში ბ-ნ გ. შალვაშვილის წინადადებას მიხედნება წაუკითხავს იმ მოკლენის შესახებ, რომელსაც ახდენენ სასამართლოზე მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლები. ჩვენი სასამართლო მოღვაწეობის ასპარეზზე შემოიკრუნ სხვა დამწებულბებათა წარმომადგენლები და მიითკიცეს სასამართლოს გამოამძიებელი—მოსამართლის ფუნქციები. ამ გვარ ადამიანების ჩარევით ჩვენი სასამართლო შეიქმნება პირად ინტრიგების დამამყაფიებელად ვიწრო

წრის ასპარეზად, სამართალი მთლად მოიშლება და მისი წარმომადგენლები ხელგნურად მოლაპარაკე ჰიფიებად გადაიქციებიან. ამგვარი დასამტკიცებლად საქირო არ არის—ამბობს ბოლშევიკი, ყველა იმ მაგალითების აღწერება, რომლებშიაც იგი იხატებოდა, საქმარისია ორი-სამი უკანასკნელი მაგალითები, რომლებსაც ამ ბოლო დროს ჰქონდა ადგილი და რომლებმაც იურისტებში ბუნებრივი აღმფეთხება გამოიწვია.

როგორც ვიცით, პარლამენტის მიერ დამტკიცებული საგანგებო სასამართლოს დებულება უკარანებს სასამართლოს, რომ ყველა ის დამანაგენი, რომელია დანაშაულობა საგანგებო სასამართლოს ექვემდებარება, უნდა იქმნენ შეპყრობილი, ვიდრე მათ საქმეს საგანგებო სასამართლო არ გაარჩევს. როდესაც ლუშეთის მაზრის მცხოვრებნი ვინმე ოზაშვილები გამოამძიებლმა შეიპყრო და მათი თავდების ქვეშ გამოშვება შეუძლებელად მიიჩნია, იმავე მთავრობის წინადადებით წინააღმდეგ კანონისა გამოშვებული იქმნენ. მეორე მაგალითია ბუჩაჩის მიერ კოლის მოკლვის საქმე, როდესაც პაუსტისგებაში მიკემულ ბუჩაჩის გამოამძიებლმა ჩვენება ჩამოართვა და ამის შემდეგ შეპყრობილი ბუჩაჩე ვანათიფისულთა თავდებობით, ამ გამოამძიებელს თბილისის პროფესიულ კავშირიდან მოკლვის მკაცრი ბრძანება, რომ ბუჩაჩე შეეპყრო და მართლაც თავდებ ქვეშ განთავისუფლებული ბუჩაჩე კვლავ, შემოხსენებულ კავშირის ბრძანებით, დააპატიმრეს. მესამე მაგალითი: ბორჯომის უბნის სასამართლო გამოამძიებელმა მხხილ-ფეხა საქონლის ახალციხის მხრიდან მოპარვის გამო შეიპყრო ვინმე ხომერიკი, გვარცლამე დასხვები, მაგრამ ეს უკანასკნელი მთავრობის წინამომადგენლის ბრძანებით დაუყოვნებლივ იქმნენ განთავისუფლებულნი და ბორჯომის გამოამძიებელი იძულებული შეიქმნა, რომ ამ საქმის წინასწარ გამოამძიებზე ხელი აეღო. ეს სამი მაგალითი სთქვა ბ. შალითაშვილმა, ნათელ ჰყოფს თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სასამართლო და მისი წარმომადგენლები.

მოსხენებაში მოთხოვნილი ამგვარი აღმფეთხებული იურიდიული საზოგადოება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ საგანგებო პარტიების წარმომადგენლების დახმარებით დამფუძნებელ კრებაში შეკითხვა იყო შეტანილი, რათა უნდალეს საკანონმდებლო ორგანომ კიდევ ერთხელ ავტორიტეტულად აღიაროს სასამართლოს დამოუკიდებლობის საკრებება.

**დამოუკიდებელი მიწების რაოდენობა**

მიწით მოქმედების სამინისტროში არსებულ ცნობებით სულ ჩამოთვლილია თიბათვის პირველადე 2940 მამული, საერთოდ 447.816 „დესიატინა“; ამითან თფილისის გუბერნიამში 378.828 „დესიატინა“ არის. სულ 2339 მამულია.

ქუთაისის გუბერნიამში—601 მამულია, რომლის სივრცე 69.992 „დესიატინას“ უდრის. სხვადასხვა მაზრებში ჩამოთვლილი მიწების რაოდენობა უდრის:

თფილისის მაზრაში	367	67,773
სიღნაღის	268	37,058
თელავის	449	44,762
ბორჩლოს	102	55,287
ლუშეთის	117	20,612
თიანეთის	73	31,634
გაორის	959	120,506
ახალციხის	4	1,185
ქუთაისის	168	8,307
ზუგდიდის	20	2,887
ლენსუბის	5	2,261
ოხუტრეთის	129	22,227
რაჭის	4	64
სენაკის	148	27,443
შორაპანის	127	5,801

**ფსიხოლოგიის სახელმძღვანელო**

კ. კაპანაღისა.  
ლიტერატურა კ. გ. კაპანაღისა შეადგინა ქართულად ფსიხოლოგიის სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო შედგენილია ევროპიულ მეცნიერთა მიერ სკოლებში მიღებულ სისტემის მიხედვით საშუალო სასწავლებელთათვის. სახელმძღვანელო შესაძლებელია გამოიყენოს ფსიხოლოგია გრძნობის და ფსიხოლოგია ნების. წიგნს აქვს შესავალი, სადაც ავტორი იძლევა ორგანიზაციის და მეცნიერულად მიღებულ განმარტებას ფსიხოლოგიის მიზნების შესახებ და ფსიხოლოგიისა და ფიზიოლოგიის შორის დამოკიდებულებას. სასურველია ამ საყურადღებო ნაშრომს გამოუჩნდეს გამოამძებელი, რომ მომავალ სამოსწავლო წელს იქნეს მზად.

**კორესპონდენცია**

**მცხეთიდან**

**მკვლელობა არამაზის მონასტრში**

ოთხი ვერსის დაკილებით მცხეთიდან არამაზის მონასტრში 2 ივანობისთვის სიცოცხლეს გამოასალმეს ბერი მირიანი და მორჩილი გიორგი. ბროლის ველიდან დაბრუნებული მირიანის დისწული მის ქვათარამე გამგზავრებული ბიძის სანახავით; მონასტრში რომ მისულა, კარები ღია დახვედრია და სიბნელის გამო ვერაფერი შეუმჩინებია, მხოლოდ მიცვალებულის სუნი სცემია და შეშინებული ახალაზრდა მცხეთაში დაბრუნებულა. გაუცხადებია კომისარ კ. საყვარელიძისა და მის თანამეწიფეს ს. ქლენცისთვის. მეორე დღეს გაგზანა კომისარა უფროსი მილიციონერი და ამაშივე საქმის გამოასრეგვედ. მონასტრში რომ მივიდნენ, ნახეს მორჩილი გიორგი, სახურავ გადასურული, რომელსაც მატლები დასველია და სხელი იშვლებოდა. უფროსმა მილიციონერმა შეატყობინა კომისარს თავის თვლით ნახული სურათი და შეუდგენ საქმის გამოძიებას. რამდენიმე დღის შემდეგ ექვით დააპატიმრეს 18 წლის ბიჭი გიორგი ლეკვიშვილი, რომელმაც ვასკა მამინაცვალი, ნიკო თურჩანაული, მიშა მკვახაძე და ბალდასარ გრიგორიანი, 20-ს დააპატიმრეს გრიგორიანიც და მკვახაძე, რომელნიც ვერ გასტყეს. ამდროს თურჩანაული მომავალი ლუშეთიდან და თელავიდან ნაკარცი ნივთების გაყიდვის შემდეგ უკანვე მოგზავნავრებოდა; აცნობეს ბ. საყვარელიძეს და ცხენით მიმავალი თურჩანაული ხელი ვერსის ფეხით ზღვიის შემდეგ დაიქურცა, პირველათ დიდ უარზედ იდგა და როდესაც მათარის ელმა თავზარი დასცა, მამის გვიამბო დაწვრილებით, რომ იმათ მოუყრიათ თავი მონასტრის მახლობლათ, იქიდან წასულან. პირველათ მისულან გიორგისთან, რომელიც ავადმყოფობის გამო წოლილა და იქვე მოგვედნათ, იქიდან ასულან ზემო სართულში მირიანთან, სცემიან და თოფის კონდახით ორცე მკლავდნენ მოუტყვევით მერე ჩაუთრევიათ ხევიში დეიოთ სროლით სიცოცხლეც მოუსპიათ. მთელი მათი ქონება, თურამ ეზანდნათ, გაუყვიათ და თფილისის დეპურტორების ბაზარზე გაუყიდნათ და მასთან საარხიმანდრიტო ჯვარი მარგალიტის თვლებით.

**ს. ჟღენტი**

**ფოსტის უთი**

ბ-ნ დავით ჩიქოვანს  
თქვენს წერილს მიიღებთ თფილისის ნოტარიუს ბ. გიორგი მ. შავკალაძისგან.

**ახალციხის (რაგბითის) წყალსადენის აღდგენელ კომიტეტის**

**გ ო ყ ო დ ე ზ ა .**

მამულის შეიგნა!

მოგესწენებთ ყველას რა აუცილებელ საქიროებას შეადგენს კაცის ცხოვრებაში წყალი იგი არის არსებითი როგორც პური. სამუშაოთ კი სწორეთ ამ საქიროებას არიან მოკლებულნი ჩვენი მომენი ახალციხის ძველი ნაწილის „რაბათის“. ქართველნი და ამ მხრით განიცდიან გაჭირვებას.

დღევანდლამდის მათ არავინ გამოუჩინა პატრონობა ამ ნაჯის აცილებებაში; თვით ივინი კი თვისი სიღარიბით მოკლებულნი იყვნენ და არიან საშუალებას რამელონით აიცილონ იგი. მაგრამ რაც ხელმოკლეობას დაუბეჩავებია შეუძლებლათ გაუხდია, ის ძურს, მამულიშვილურს, კაცთ მოყვარულს გულკეთილობას გაუჩადებრა, აუყვავებრა, შეუსრულებრა. ამ გაჭირვების დროს მომენი და გულ შემატყვარნი რაბათში მცხოვრებთ ქართველთა მოვალენი არიან ძიობა-სიყვარულით შეხედნენ მათ. მიუწინავე ნაწილმა ახალციხის ქართველობისა მიხნათ დიდო გაუჩინოს ბენჯ თვის მომმით წყალი და ამიტომ შეადგინა ცალკე კომიტეტი, რომელიც ავროავებს თულს ამ საქმის მალე შესასრულებლათ.

გზოგვთ კეთილ ინებათ თქვენი წვლილით ხელი შეუწყათ ამ საქმის შესრულებასა და ავროავე ამავე მიზნით შეადგინათ თქვენი გულკეთილ ნაწილობებში და მეგობრებში შემოწირულება. ხოლო ახალციხიდან გადასული სხვა და სხვა ადგილას გაორკეცულას თხოვნით მიმართავს კომიტეტი, რადგანაც მათ იკან რაბათის მცხოვრებთა ხელმოკლეობა და ავროავე იციან ისიცა, რომ თუ მათი მადლიანი გული და ხელი არ ჩაერყვიან ამ საქმეში, იგი ვერ განხორციელდება.

ფულა თუ წერილით ამ მისამართით გამოგზავნის: ახალციხე რაბათის წყალსადენის და კომიტეტის ხაზინდარს, ფოსტის უფროსს, რ. ბეგიშვილს.

**ვინაიდან ბასარზე გახნდა კ ო ნ ი ა კ ი**

„დ. წ. სარაჯიევის“ ფირმის ყალბი ეტიკეტებით  
**დ. წ. სარაჯიევილის ფირმის მთავარი კონსტორა**  
აცხადებს, რომ ის ავებს პასუხს მხიროდ იმ კონიაკის ხარისში, რომელიც გაცემული იქნება საკუთარ საწყობიდან (ოლგას ქუჩა, 30)  
გაკვიდგა ბითუმათ და წყრილად სწინმოყებს ეოკულ დღე დილის 9 საათ. 2 სსათამდის,